

# Covid-19

## და შეზღუდული

## შესაძლებლობის

## მეორე პირთა უფლებები



საქართველოს  
ახალგაზრდა  
იურისტთა  
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

**Covid-19 და შეზღუდული  
შესაძლებლობის მქონე პირთა  
უფლებები**

თბილისი  
2021

დოკუმენტი მომზადებულია ფონდ „პური მსოფლიოსთვის პროტესტანტული განვითარების სამსახურის“ (BFDW) მიერ დაფინანსებული პროექტის - „ყველაზე მოწყვლადი პირების და თემების სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვა და ხელშეწყობა საქართველოში“ - ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის ოფიციალურ პოზიციას.

**Brot**  
für die Welt

Bread for the World –  
Protestant  
Development Service

გამოცემის ხელმძღვანელი: მერაბ ქართველიძე

ავტორი: მარიამ სვიმონიშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირაღაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

---

აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

## სარჩევი

შესავალი .....	4
ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა .....	4
კონსულტაციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა .....	7
ჯანმრთელობის უზღვევა და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა .....	9
საკვებით, მედიკამენტებითა და დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა .....	13
ფინანსური მხარდაჭერა .....	14
განათლება .....	16
შრომითი ურთიერთობები .....	18
წმენდილობის სხვადასხვა დანერგულებაში .....	18
დასკვნა .....	21
რეკომენდაციები .....	21

## შესავალი

Covid-19-ის პანდემია საფრთხეს უქმნის საზოგადოების ყველა წევრს, თუმცა მისი შედეგები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე არაპროპორციულად აისახება. მომეტებული რისკის წინაშე არიან ის ადამიანები, რომლებსაც აქვთ ქრონიკული დაავადებები, ჯანმრთელობის პრობლემები, ასევე ისინი, ვინც ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელ დახმარებას საჭიროებენ ან/და სხვადასხვა დაწესებულებაში იმყოფებიან.<sup>1</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა საქართველოს კონსტიტუციური და საერთაშორისო ვალდებულებაა. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, მონაწილე ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ პირთა დაცვა და უსაფრთხოება „სარისკო სიტუაციებში“,<sup>2</sup> რაც, თავის მხრივ, მოიცავს პანდემიასაც. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ Covid-19-თან ბრძოლის გეგმებში სახელმწიფომ გაითვალისწინოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ვალდებულებები, რომ „არავინ დარჩეს ყურადღების მიღმა“ („Leave no one behind“).<sup>3</sup>

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია კორონავირუსის გავრცელების პირობებში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების შესწავლა და იმის გაანალიზება, რამდენად პასუხობს ეს ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წინაშე არსებულ გამოწვევებს, ასევე, საერთაშორისო რეკომენდაციებს. აქედან გამომდინარე, კვლევაში მიმოხილულია პანდემიის დროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოცემული საერთაშორისო რეკომენდაციები და სახელმძღვანელო პრინციპები. აგრეთვე, მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება Covid-19-ის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით და შშმ პირთა ინტერესების გათვალისწინების საუკეთესო პრაქტიკა. იმავდროულად, შესწავლილია მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური ანტიკრიზისული გეგმა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციები. გარდა ამისა, არსებული გამოწვევების დამატებით იდენტიფიცირების მიზნით, შშმ პირებთან, შშმ ბავშვების მშობლებთან, დღის ცენტრების თანამშრომლებსა და შშმ თემის ინტერესების დამცველ ორგანიზაციებთან ჩატარდა ინტერვიუები.<sup>4</sup> დოკუმენტის შემუშავების ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა სახალხო დამცველის, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები, კვლევები და ანგარიშები.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით, წინამდებარე დოკუმენტი გამოავლენს პანდემიის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წინაშე კვლავ არსებულ გამოწვევებს და სახელმწიფოს მიმართ შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

## ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გარანტირებულია შშმ პირთა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.<sup>5</sup> პანდემიის პირობებში ეს გულისხმობს, რომ მათ აქვთ უფლება, მიიღონ ინფორმაცია Covid-19-ის, ქვეყანაში საპასუხო რეაგირების, შეზღუდვების, გეგმებისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ.<sup>6</sup> ამ თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება გარკვეული დაბრკოლებების წინაშე აღმოჩნდნენ. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ხშირად პრობლემურია

<sup>1</sup> OHCHR, COVID-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, (2020), 1. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32tnCDn>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>2</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-11 მუხლი.

<sup>3</sup> “Sustainable Development Goals”, United Nations. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3thhrz1>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>4</sup> ჯამში, 15 რესპონდენტი: 3 - შშმ პირი, 2 - შშმ ბავშვის მშობელი, 3 - დღის ცენტრი და 7 - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაცია.

<sup>5</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 21-ე მუხლი.

<sup>6</sup> UN, Policy Brief: A Disability-Inclusive Response to Covid-19, (2020), 2. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3j9MbNx>, განახლებულია: 10.02.2021.

იმ პირებისთვის, რომლებსაც კომუნიკაციის სპეციფიკური საჭიროებები გააჩნიათ.<sup>7</sup> სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ აღმოჩნდნენ სოციალურად იზოლირებულნი,<sup>8</sup> ამასთან, პანდემიასთან დაკავშირებული ყველა სახის უახლესი და სწორი ინფორმაცია (ტელევიზია, საგანგებო ბრიფინგები, პრესა, სოციალური ქსელი და ა.შ.)<sup>9</sup> თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი მათგანისთვის<sup>10</sup> სხვადასხვა ფორმატში და განსხვავებული ტექნოლოგიების გამოყენებით. კერძოდ:

- ბრაილის შრიფტით ან/და მსხვილი, გამოკვეთილი ასოებით უსინათლოთათვის ან იმ პირთათვის, ვისაც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს;<sup>11</sup>
- მარტივად წასაკითხი ფორმატით ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთათვის;<sup>12</sup>
- წერილობითი ფორმატით ან ვიდეოს მეშვეობით, რომელსაც თან ახლავს სუბტიტრები ან/და თარგმანი ჟესტების ენაზე, სმენადაქვეითებული პირებისთვის;<sup>13</sup>
- ხელმისაწვდომი ინტერნეტრესურსები მათთვის, ვინც დამხმარე ტექნოლოგიებს იყენებს.<sup>14</sup>

ხსენებული რეკომენდაციები გაითვალისწინეს პარაგვაიმ და პანამამ, რომელთაც შექმნეს სპეციალური სისტემები ვირუსის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომი ფორმატით გავრცელების უზრუნველსაყოფად.<sup>15</sup> საგულისხმოა ახალი ზელანდიის მაგალითიც, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს ვებგვერდზე გამოყოფილია სპეციალური სექცია, სადაც ინფორმაცია განთავსებულია სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის, ჟესტების ენით და მარტივად აღქმადი სახით.<sup>16</sup> დიდ ბრიტანეთში კორონავირუსის შესახებ მუდმივად განახლებადი დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც მარტივად წასაკითხი ფორმით, ისე დიდი ბეჭდური ასოებით და სურათების სახით.<sup>17</sup>

საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების საწყის ეტაპზე ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, არსებული მდგომარეობის, მიღებული გადაწყვეტილებებისა თუ პრევენციის მიმართულებით გასატარებელი ზომების თაობაზე ინფორმაციის შუშ პირებისთვის მისაწვდომი საშუალებებით გავრცელების მნიშვნელობაზე ყურადღება გამამხვილა საქართველოს სახალხო დამცველმა.<sup>18</sup>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოსცა „რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამომწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელე-

<sup>7</sup> RCCE, Covid-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, (2020), 3. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32yGeC7>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> WHO, Disability Considerations During the Covid-19 Outbreak, (2020), 5. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gxnXl>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>10</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021; UNPRPD, Disability Inclusive Social Protection Response to Covid-19 Crisis, 1. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/365hWTK>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>11</sup> RCCE, Covid-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3; UNICEF, Covid-19 Response: Considerations for Children and Adults with Disabilities, 2. ხელმისაწვდომია: <https://uni.cf/3hA7ZAw>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>12</sup> UNICEF, Covid-19 Response: Considerations for Children and Adults with Disabilities, 2.

<sup>13</sup> იქვე. RCCE, Covid-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3.

<sup>14</sup> RCCE, COVID-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3. UNICEF, COVID-19 Response: Considerations for Children and Adults with Disabilities, 2.

<sup>15</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 4.

<sup>16</sup> „COVID-19: Accessible Information“, Ministry of Health of New Zealand. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FWmalF>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>17</sup> „Coronavirus – Easy Read and Large Print“, NHS. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3p5YKLV>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>18</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება მიმდინარე მოვლენების ფონზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 23.03.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3ngdMxX>, განახლებულია: 10.02.2021.

ბის დროს“.<sup>19</sup> ამ დოკუმენტით სახელმწიფო სტრუქტურებისთვის შემუშავდა საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და ხელმისაწვდომი კომუნიკაციის უზრუნველყოფის თაობაზე რეკომენდაციები,<sup>20</sup> რომლებიც ემთხვევა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მიერ შემუშავებულ სახელმძღვანელო მითითებებს.

საინტერესოა რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელების საკითხი. საქართველოს მთავრობის ანგარიშის თანახმად, 20 მარტიდან მთავრობის ბრიფინგების ტრანსლაცია მიმდინარეობს ჟესტების ენის გამოყენებით,<sup>21</sup> ხოლო სმენადაქვეითებული იმ პირებისთვის, რომლებმაც ჟესტების ენა არ იციან, ბრიფინგების დასრულებისთანავე ტექსტი იტვირთება მთავრობის სოციალური მედიის გვერდზე.<sup>22</sup> ინფორმაცია ვრცელდება ვიდეოწყაროებით,<sup>23</sup> ასევე ცხელი ხაზების საშუალებით.<sup>24</sup> გარდა ამისა, 112-ის ცხელი ხაზი აღჭურვილია ვიდეოზარის და SMS ფუნქციებით.<sup>25</sup>

მთავრობის ანგარიშში არაფერია ნათქვამი ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირთათვის მარტივად წასაკითხი ფორმატით ინფორმაციის შექმნისა და გავრცელების თაობაზე. მარტივად წასაკითხი ბუკლეტი „რა უნდა ვიცოდეთ ახალი კორონავირუსის შესახებ (COVID-19)“ შემუშავდა UNDP-ის მხარდაჭერით,<sup>26</sup> თუმცა - მას შემდეგ, რაც ეპიდემიოლოგიური სიტუაცია უკვე აქტიურ ფაზაში იყო და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებდა. აგრეთვე, 10,000 ბუკლეტი გავრცელდა მხოლოდ მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა 20 რეზიდენტულ დაწესებულებაში.<sup>27</sup> ეს ბუკლეტი ინტერნეტით ხელმისაწვდომი გახდა მოგვიანებით, 13 მაისს.<sup>28</sup> ამასთან, პრობლემური იყო უსინათლო და მცირემხედველ პირთათვის ხარისხიან და საჭირო ინფორმაციაზე წვდომაც.<sup>29</sup>

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა, რომ ინფორმაციის მისაწვდომობის კუთხით სახელმწიფოს რეაგირება არ იყო სწრაფი და ყველა ჯგუფისკენ მიმართული. ხელისუფლების მიერ გატარებული ზემოთ ხსენებული ზომების მიუხედავად, რესპონდენტებს მიაჩნდათ, რომ ინფორმაცია ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისთვის არ იყო სათანადოდ ხელმისაწვდომი და მასობრივი ხასიათის:

*„ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირებისთვის პრობლემას წარმოადგენს მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მოძიება. აუცილებელია გამარტივებული კონტენტის მოძიება, რისი უნარებიც ამ პირების უმეტესობას არ გააჩნია. აგრეთვე, იმ სპიკერების სამეტყველო ენა, რომლებიც კორონავირუსის გავრცელებისა და პრევენციის ღონისძიებების შესახებ ყოველდღიურ რეჟიმში მედიასთან საუბრობენ, სკამოდ რთულია და არ არის ყველასთვის გასაგები. ამასთან, სათანადოდ არ გავრცელებულა ინფორმაცია მარტივად წასაკითხი ფორმატით, არ ჰქონია მასობრივი ხასიათი და, შესაბამისად, არ იყო ხელმისაწვდომი“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

<sup>19</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის „რეკომენდაციები მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nnHd13>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისისას (2020), 27. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32tmH5T>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>22</sup> იქვე.

<sup>23</sup> საქართველოს მთავრობის მიერ გავრცელებული ვიდეორგოლები. იხ. <https://bit.ly/385Zf1p>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>24</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისისას, 27.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> „არავინ უნდა დარჩეს მხარდაჭერის მიღმა“, UNDP საქართველოს ვებგვერდი, 17.04.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2KvzGi3>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> „რა უნდა ვიცოდეთ ახალი კორონავირუსის შესახებ (COVID-19)“, UNDP საქართველოს ვებგვერდი, 13.05.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2Kvoxha>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>29</sup> „თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღე“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 15.10.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3rhOYaf>, განახლებულია: 10.02.2021.

„საკმარისი არ არის ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ პრევენციული საშუალებების თაობაზე. ადაპტირებული ინფორმაცია ეპიდემიოლოგიური სიტუაციის ცვლილებასთან ერთად უნდა ახლდებოდეს, რათა კონკრეტულ მომენტში ის ხელმისაწვდომი იყოს ყველა პირისთვის. საწყის ეტაპზე სახელმწიფო შედარებით მეტს მუშაობდა მონაცემების ადაპტირების კუთხით, თუმცა შემდგომ მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ნაბიჯები აღარ გადადგმულა“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

„ხშირ შემთხვევაში, ვირუსის გავრცელებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია გამოკრული იყო სკოლებში, მაშინ, როდესაც მოსწავლეები სახლებში იყვნენ და დისტანციურად სწავლობდნენ. ასევე, ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური ქსელის მეშვეობით, თუმცა ბევრს ინტერნეტზე წვდომა არ ჰქონდა. აუცილებელი იყო სხვა ალტერნატიული გზების მოძიება“ - დღის ცენტრის წარმომადგენელი, შშმ ბავშვის მშობელი.

„ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია სათანადოდ არ ვრცელდებოდა. ის გამოკრული იყო პაციენტებისთვის მიუწვდომელ ადგილებში“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

გარდა ამისა, ერთ-ერთი რესპონდენტის განმარტებით, იყო შემთხვევა, როდესაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში პირბადის ტარების აუცილებლობის თაობაზე ინფორმაცია არ იყო მისთვის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ის ავტობუსში პირბადის გარეშე ავიდა, რასაც კონტროლიორის მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა მოჰყვა.

შესაბამისად, მართალია, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობა სახელმწიფომ, გარკვეულწილად, უზრუნველყო, თუმცა რეაგირება არ იყო სათანადო და აუცილებელია დამატებითი ზომების მიღება.

## კონსულტაციები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ სათანადო კონსულტაციები გაიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და შესაბამის ორგანიზაციებთან, ასევე, უზრუნველყოს პანდემიის საპასუხო ქმედებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართულობა<sup>30</sup> Covid-19-თან ბრძოლის ყველა ეტაპზე.<sup>31</sup> სახელმწიფომ უნდა შეაფასოს და გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებები.<sup>32</sup> განსაკუთრებით, ეს ეხება შშმ ბავშვებს, ქალებს, მოხუცებსა და კომპლექსური დახმარების საჭიროების მქონე პირებს.<sup>33</sup> გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მათი მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი<sup>34</sup> და აქტიური კომუნიკაცია სათანადო უკუკავშირის მისაღებად.<sup>35</sup>

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია კანადის მაგალითი, სადაც შეიქმნა Covid-19-ის საკითხებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მრჩეველთა ჯგუფი (COVID-19 Disability Advisory Group), რომელშიც შედიან შშმ პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები.<sup>36</sup> ჯგუფის მიზანია შშმ პირების სპეციფიკური საკითხების, გამოწვევების, სისტემური ხარვეზების, სტრატეგიებისა და

<sup>30</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 2; RCCE, COVID-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3; WHO, Disability Considerations During the Covid-19 Outbreak, 5.

<sup>31</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.; UN, Policy Brief: A Disability-Inclusive Response to Covid-19, 3.

<sup>32</sup> RCCE, Covid-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3.

<sup>33</sup> UNPRPD, Disability Inclusive Social Protection Response to Covid-19 Crisis, 2.

<sup>34</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 7.

<sup>35</sup> RCCE, Covid-19: How to Include Marginalized and Vulnerable People in Risk Communication and Community Engagement, 3.

<sup>36</sup> „Backgrounder: COVID-19 Disability Advisory Group“, Government of Canada, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b2hbeo>, განახლებულია: 10.02.2021.



გასატარებელი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფოსთვის შესაბამისი კონსულტაციის გაწევა.<sup>37</sup> მრჩეველთა ჯგუფმა კორონავირუსის შესახებ მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინფორმირების მიზნით შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი,<sup>38</sup> რომელიც გამოქვეყნებულია კანადის მთავრობის ოფიციალურ გვერდზე.<sup>39</sup>

საქართველოში ადამიანის უფლებათა საბჭოს ფარგლებში შეიქმნა საკომუნიკაციო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც იმართებოდა დისტანციური შეხვედრები მუზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, სათემო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და აქტივისტების ჩართულობით.<sup>40</sup> საგულისხმოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან კომუნიკაცია პანდემიის საწყის ეტაპზე არ იყო საკმარისი. 2020 წლის 10 აპრილს, თითქმის თვენახევრის შემდეგ, რაც საქართველოში Covid-19-ის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა, შშმ თემის ინტერესების დამცველმა ორგანიზაციებმა მთავრობას წერილით მიმართეს.<sup>41</sup> ისინი აღნიშნავდნენ, რომ ქვეყანაში უგულებელყოფილი იყო შშმ პირთა უფლებები და ხელისუფლებას მათი ინტერესების გათვალისწინება სთხოვდნენ.<sup>42</sup> საყურადღებოა, რომ ხსენებულ მიმართვას ადრესატისგან ქმედითი ნაბიჯები არ მოჰყოლია. ერთ-ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, წერილის შემდეგ შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მთავრობასთან კომუნიკაციამ ელექტრონული მიმოწერის ფორმატში გადაინაცვლა, თუმცა დადებითი კუთხით ბევრი არაფერი შეცვლილა.<sup>43</sup>

ნიშანდობლივია, რომ 15 ივნისს გამართულ ონლაინკონფერენციაზე - „შშმ პირთა მიზნობრივი პროგრამები პანდემიის პირობებში“ - ამ პირების პრობლემების გაზიარებისა და სახელმწიფო უწყებებამდე მიტანის დეფიციტის თაობაზე ისაუბრა საქართველოს სახალხო დამცველმა.<sup>44</sup> მან ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გადაწყვეტილებები სწორედ მუზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე უნდა მიიღებოდეს.<sup>45</sup>

პლატფორმის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან კომუნიკაციის ნაკლებობაზე მიუთითებდნენ რესპონდენტებიც. მათი თქმით, შეხვედრები სათანადო სიხშირით არ იმართებოდა, არამედ, ძირითადად, მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე, ორგანიზაციების მხრიდან ინიციატივის გამოხატვის შემდგომ. სახელმწიფოს ქმედებები და არსებულ პრობლემებზე რეაგირება არ იყო პროაქტიული:

*„პლატფორმის შექმნა და შეხვედრების ორგანიზება დაგვიანებული იყო. თუ არ ვცდები, ორგანიზაციებმა პირველი შეხვედრა 24 მარტს მიიღეს, როდესაც ვირუსი უკვე მძლავრობდა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა იყო გამოცხადებული. აგრეთვე, ხელისუფლებისთვის ინფორმაციის მიწოდების შემდეგ ორგანიზაციებს პასუხი არ მიუღიათ. ასეთი მიდგომა კი შშმ პირებზე უარყოფითად აისახება. შეხვედრების მონაწილე ორგანიზაციებმა წინასწარ გამოიკითხეს მათი პრობლემები და პლატფორმას მიაწოდეს. შესაბამისად, ამ პირებს გაუჩნდათ მოლოდინი, რომ მათთან დაკავშირებული საკითხები ნაწილობრივ მაინც მოგვარდებოდა“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

უფრო მეტიც, ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ შეხვედრების თაობაზე ინფორმაცია საერთოდ არ მიუღია. მისი მოსაზრებით, აუცილებელია შეხვედრის ანგარიშების სხვა ორგანიზაციებისთვის გაზიარება, მათ შორის მათთვის, ვინც დასწრება ვერ მოახერხა. ეს საკითხი განსა-

<sup>37</sup> იქვე.

<sup>38</sup> „Resources Related to the COVID-19 Pandemic for persons with disabilities“, The Centre for Research on Work Disability Policy (CRWDP). ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2K5BYop>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>39</sup> „COVID-19 and people with disabilities in Canada“, Government of Canada, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3r1kUAm>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>40</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისისას, 29.

<sup>41</sup> შშმ პირთა ორგანიზაციების წერილი პრემიერმინისტრს, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jI7RVX>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>42</sup> იქვე.

<sup>43</sup> „უფრო მუზღუდული შესაძლებლობები – COVID-19-ის ფარული ეფექტი“, ევროპის ფონდის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b2fVYI>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>44</sup> „ონლაინკონფერენცია - შშმ პირთა მიზნობრივი პროგრამები პანდემიის პირობებში“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2:19:13-2:19:45, 15.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37kNntt>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>45</sup> იქვე, იხ. 2:20:31-2:20:36.

კუთრებით საყურადღებოა, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით, საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ ერთი სამუშაო სხდომის ოქმი.<sup>46</sup>

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენელმა ისაუბრა სამუშაო შეხვედრების დადებით მხარეებზე. მისი თქმით, სწორედ შეხვედრის მეშვეობით მიიღეს ინფორმაცია ადაპტირებული კოვიდ-დსასტუმროების შესახებ. ასევე, მიმდინარეობდა განხილვები დღის ცენტრების ფუნქციონირების თაობაზე და პლატფორმის დახმარებით ეს საკითხი საკმაოდ მალე გადაწყდა. მათ გაუგრძელდათ დაფინანსება და აუტისტური სპექტრის ბავშვებთან მომუშავე ცენტრებში დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნდათ ხელფასები.

მიუხედავად შეხვედრების, გარკვეულწილად, დადებითი შედეგებისა, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სათემო ორგანიზაციებთან კომუნიკაცია არ არის სათანადოდ პროაქტიული და ეფექტიანი. ამას მოწმობს ისიც, რომ 2020 წლის 4 დეკემბერს შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის საიამ, პრემიერმინისტრს ღია წერილით მიმართეს.<sup>47</sup> განცხადებაში საუბარია ამ მხრივ ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებაზე.<sup>48</sup> ორგანიზაციებმა მთავრობას მოუწოდეს, გააძლიეროს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა კონსულტაციებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის კუთხით.<sup>49</sup>

## ჯანმრთელობის უზღავდა და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის თანახმად, შშმ პირებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით სარგებლობის უფლება,<sup>50</sup> რაც პანდემიის პირობებში მრავალ მიმართულებას მოიცავს.

პირველ რიგში, სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი პროტოკოლები, რომლებიც უზრუნველყოფს Covid-19-თან დაკავშირებულ კრიზისულ სიტუაციაში ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების პრევენციას.<sup>51</sup> ასევე, აუცილებელია ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულთა გადამზადება,<sup>52</sup> სამედიცინო სერვისებთან დაკავშირებული ფინანსური ბარიერების გაუქმება (როგორცაა, მაგალითად, თანადაფინანსება და ა.შ.)<sup>53</sup> და შესაბამისი ზომების მიღება შშმ პირთათვის ჯანდაცვის სერვისებზე დროული წვდომის უზრუნველსაყოფად (მაგალითად, როგორცაა, ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებებში და საავადმყოფოებში ჟესტების ენაზე თარგმანის ხელმისაწვდომობა).<sup>54</sup> გარდა ამისა, განსაკუთრებული მნიშვნელობის რეკომენდაციაა შშმ პირების პრიორიტეტული ტესტირება.<sup>55</sup> ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა კანადა, სადაც გამოიცა პრიორიტეტული ტესტირების გაიდლაინები.<sup>56</sup> არაბთა გაერთიანებული საემიროების ეროვნული პროგრამის თანახმად კი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ტესტირება მიმდინარეობს სახლებში და აპრილის შუა რიცხვებისთვის უკვე ჩატარებული იყო 650,000 ტესტი.<sup>57</sup>

<sup>46</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი“, 10.04.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JZmpOt>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>47</sup> „შეზღუდვების გამო შშმ პირთა უმეტესობა სერვისის მიღება“ – NGO-ების ღია წერილი გახარიას, „პუბლიკის“ ვებგვერდი, 04.12.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2W1lSgZ>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> იქვე.

<sup>50</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 25-ე მუხლი, 1-ლი პუნქტი.

<sup>51</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>52</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 2.

<sup>53</sup> UNPRPD, Disability Inclusive Social Protection Response to Covid-19 Crisis, 1.

<sup>54</sup> UN, Policy Brief: A Disability-Inclusive Response to Covid-19, 10-11.

<sup>55</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 2.

<sup>56</sup> იქვე, იხ. 3.

<sup>57</sup> იქვე, იხ. 2; „Combating Coronavirus: UAE Launches Home Testing Programme for People of Determination“, Khaleej Times, 13 April 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3huwQFM>, განახლებულია: 10.02.2021.

აგრეთვე, სოციალური დისტანცირებისა და იზოლაციის რეგულაციების უარყოფითი გავლენის შემცირებისა და შემდგომი პრევენციის მიზნით, ქვეყნები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მენტალური ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური დახმარების მექანიზმების შშმ პირებისთვის ხელმისაწვდომობა.<sup>58</sup>

ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა სახალხო დამცველმაც და აღნიშნა, რომ აუცილებელია, პანდემიასთან ბრძოლის შესაბამის გეგმებში სათანადოდ იყოს გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები.<sup>59</sup> ეს კი მოიცავს საკარანტინე ზონებისა და სამედიცინო სერვისების მისაწვდომობას.<sup>60</sup>

სახელმწიფომ შეიმუშავა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც მოიცავს პანდემიის პირობებში ჯანდაცვის სფეროში შშმ პირთა ინტერესების გათვალისწინებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავდა რეკომენდაცია, რომელიც, გარკვეულწილად, კორონავირუსით სავარაუდოდ ექსპოზირებულ შშმ პირებს ეხება.<sup>61</sup> თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ეს დოკუმენტი მიემართება ასეთ პირთა განთავსების ობიექტების მომსახურე არასამედიცინო პერსონალს.<sup>62</sup> გარდა ამისა, გამოიცა „რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“.<sup>63</sup> ამ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შშმ პირთათვის კლინიკების ფიზიკურ ხელმისაწვდომობაზე,<sup>64</sup> საზოგადოების დამოკიდებულებასა და ამის შედეგად წარმოქმნილ ბარიერებზე (მაგალითად, სოციალური სტიგმა შეზღუდული შესაძლებლობის წინააღმდეგ და აუცილებელ (სასიცოცხლო) სერვისებზე უარის თქმა).<sup>65</sup> რეკომენდაციაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ უნდა განხორციელდეს სამინაო კონსულტაციები, რაც მოიცავს მათი ჯანმრთელობის საჭიროებებსა და, აუცილებლობის შემთხვევაში, COVID-19-თან დაკავშირებულ სერვისებს.<sup>66</sup>

ამასთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის თამილა ბარკალაიას განცხადებით, მძიმე და ღრმა ჩამორჩენის მქონე პირებთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა პროტოკოლი, რომლის თანახმად, ბენეფიციარი კარანტინში განთავსდება მანამ, სანამ გრძელვადიანი ზრუნვის დაწესებულებაში იქნება გადაყვანილი.<sup>67</sup> მისი თქმით, ჯანდაცვის დეპარტამენტში არის რეაგირების ჯგუფი, რომელიც თითოეული ასეთი შემთხვევის დროს მოქმედებს ინდივიდუალურ-

<sup>58</sup> UN, Policy Brief: A Disability-Inclusive Response to Covid-19, 11; UNICEF, Covid-19 Response: Considerations for Children and Adults with Disabilities, 3.

<sup>59</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება მიმდინარე მოვლენების ფონზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 23.03.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/34e5QG1>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>60</sup> იქვე.

<sup>61</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის „რეკომენდაციები ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციისადმი (COVID-19) სავარაუდოდ ექსპოზირებული შშმ პირების განთავსების ობიექტებში დასუფთავება-დეზინფექციისა და იზოლირებულ პირთა ყოველდღიური საყოფაცხოვრებო მომსახურების (დასუფთავება, საკვების/პროდუქტის დარიგება-მიწოდება) განმარტორციელებელი პერსონალისთვის“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KsyYIX>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის „რეკომენდაციები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ახალი კორონავირუსით (SARSCoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“.

<sup>64</sup> იქვე.

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> იქვე.

<sup>67</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი“, 6.

რად და პირს მის საჭიროებაზე მორგებული სერვისით უზრუნველყოფს.<sup>68</sup>

მისასალმებელია ასეთი დოკუმენტების შემუშავება, თუმცა რეკომენდაციების უმეტესობა ზოგადი ხასიათისაა, არ არის წარმოდგენილი მოქმედების კონკრეტული გზები და გამოტოვებულია შშმ პირების უფლებების სრულყოფილი რეალიზებისთვის აუცილებელი ზოგიერთი კომპონენტი.

ცალკე საკითხია რეკომენდაციებისა და პროტოკოლების პრაქტიკაში განხორციელება. ამ კუთხით, უნდა აღინიშნოს, რომ საკარანტინე ზონები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლემ შშმ პირებისთვის.<sup>69</sup> მიუხედავად ამისა, ეს არ არის საკმარისი, რადგან ზოგიერთ შშმ პირს ესაჭიროება მხარდაჭერი, რაც, რესპონდენტების გამოცდილებით, სახელმწიფოს მხრიდან გათვალისწინებული არ არის. ასევე, საკარანტინე ზონები არ არის სივრცით ადაპტირებული ისეთი ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომლებსაც ქვევითი აწლილობა აქვთ.<sup>70</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ისიც, რომ ხანდაზმულთა და შშმ პირთა სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული ბენეფიციარები განეკუთვნებიან კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირებს.<sup>71</sup> მათი ტესტირება სავალდებულოა გეგმურად, 14 დღეში ერთხელ.<sup>72</sup> თუმცა, პერიოდული ტესტირების გარეშე არიან დარჩენილნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც დაწესებულებებში არ ცხოვრობენ.

ასევე, განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის მოუმზადებლობა ინფიცირებული შშმ პირების მიღებისას.<sup>73</sup> ამ საკითხზე მიუთითებდნენ რესპონდენტებიც:

*„COVID-19-ის სიმპტომებით გადამიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში. მეყვანის მომენტიდანვე პრობლემური იყო ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლების დამოკიდებულება, რადგან ჩემს სიმპტომებს უკითხებოდნენ მამას და არა - მე. ასევე, ჩემთვის გათვალისწინებული არ იყო მხარდაჭერი. დამის განმავლობაში, როდესაც მაღალი სიცხეები მქონდა, სათანადო ყურადღება არ მომაქციეს. უყურადღებობა შეწყდა მას შემდეგ, რაც ამგვარი დამოკიდებულების თაობაზე სოციალურ ქსელში პოსტი დაწერე. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მოკვლევა დაიწყო“ - შშმ პირი და აქტივისტი.*

*„ჩვენი ბენეფიციარი შშმ ბავშვი და მისი მშობელი დაინფიცირდნენ. დარეკეს ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში და ითხოვეს გადაყვანა, თუმცა პასუხად მიიღეს, რომ, ვინაიდან ბავშვი იყო აუტისტური სპექტრის მქონე, მათ ვერ მიიღებდნენ. მოგვიანებით, დედის ძალისხმევის შედეგად, სამედიცინო დაწესებულების პასუხი შეიცვალა. ამგვარ დამოკიდებულებას განაპირობებს სამედიცინო პერსონალის არასათანადო მომზადება, რადგან არ იციან აუტისტური სპექტრის პირებთან მიდგომა“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

ინფიცირებული შშმ პირებისადმი ჯანდაცვის სისტემის არასათანადო დამოკიდებულებაზე მეტყველებს სამედიცინო დაწესებულებების მიერ მედიაში გავრცელებული განცხადებები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისგან მედპერსონალის დაინფიცირების თაობაზე.<sup>74</sup> პირველი მსგავსი განცხადება გაკეთდა აპრილის დასაწყისში ბათუმის ინფექციურ სა-

<sup>68</sup> იქვე.

<sup>69</sup> იქვე, იხ. 5.

<sup>70</sup> იქვე, იხ. 8.

<sup>71</sup> „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხისა და ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №975 განკარგულების დანართის, „კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) სავალდებულო ტესტირებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირთა ნუსხა და ჩატარების წესის“ 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2LDiO9U>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>72</sup> იქვე, იხ. მე-3 პუნქტი.

<sup>73</sup> „ონლაინკონფერენცია - შშმ პირთა მიზნობრივი პროგრამები პანდემიის პირობებში“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, შშმ პირის მშობელი მედეა შალამბერიძე, 56:20-56:44, 15.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37kNntt>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>74</sup> ნინო თარხნიშვილი, „როგორ მკურნალობენ კოვიდპაციენტებს, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ“, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 10.06.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33OEXbB>, განახლებულია: 10.02.2021.

ავადმყოფოში, სადაც ითქვა, რომ 45 წლის მედლა კორონავირუსით მაშინ დაინფიცირდა, როდესაც საკუთარ თავზე აიღო ინფიცირებული „რთული პაციენტის“ დახმარება, რომელსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.<sup>75</sup> მეორე კომენტარი, რომლის თანახმად, სამი მედლა იმ პაციენტებისგან დაინფიცირდა, რომლებსაც „ფსიქიკური პრობლემები“ ჰქონდათ, 9 ივნისს ბოქორიშვილის კლინიკის გამგეობის თავმჯდომარემ მაკა სოლოლაშვილმა გააკეთა.<sup>76</sup> სამედიცინო დაწესებულებების ამგვარი განცხადებები უარყოფითად შეფასდა შშმ თემის უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და აქტივისტების მხრიდან.<sup>77</sup> მათი თქმით, ასეთი დამოკიდებულება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პაციენტების მიმართ სტიგმის გაღვივებას უწყობს ხელს.<sup>78</sup>

სახელმწიფომ, ასევე, ვერ უზრუნველყო ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული ფინანსური ბარიერების გაუქმება:<sup>79</sup>

*„მივმართეთ მთავრობას, რომ კარანტინის პერიოდში მანაც გაუქმებულიყო შშმ პირებისთვის საყოველთაო დაზღვევის ფარგლებში თანაგადახდის წილი, თუმცა პასუხი დღემდე არ მიგვიღია. მითუმეტეს, რომ ბევრმა სამსახური დაკარგა და, ხშირ შემთხვევაში, თანაგადახდის თანხა შშმ პირებისთვის გათვალისწინებულ პენსიას უტოლდება ან აღემატება“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

შშმ პირთათვის სამედიცინო სერვისებზე მისაწვდომობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენდა ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური სიტუაციის დამძიმების შედეგად Covid-19-ის ცხელი ხაზის მუდმივი გადატვირთულობა და, ხშირ შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების სერვისის დროულად მიღების შეუძლებლობა. აქედან გამომდინარე, შშმ პირებს და შშმ ბავშვების მშობლებს უწევდათ, ფაქტობრივად, შეზღუდული რესურსებისთვის ბრძოლა და Covid-19-ის მკურნალობის მისაღებად კონკურენციაში ჩართვა.<sup>80</sup> აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად პოზიტიური ნაბიჯები გადადგა და შექმნა დამოუკიდებელი ცხელი ხაზი,<sup>81</sup> თუმცა, საყურადღებოა, რომ ამ სერვისით სარგებლობა მხოლოდ შშმ ბავშვებს და მათ მშობლებს შეუძლიათ.<sup>82</sup> შესაბამისად, ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, Covid-19-ის ცხელი ხაზის გადატვირთულობის შემთხვევაში, იმავე გამოწვევის წინაშე დგანან.

უნდა აღინიშნოს ერთი შემთხვევა, როდესაც აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვს გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პერიოდში არ მიეცა კონკრეტულ ლოკაციაზე გასეირნების უფლება.<sup>83</sup> ამის გამო, მას ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა,<sup>84</sup> რაც მთავრობის მიერ შემოღებული ღონისძიების პრობლემურობაზე მიუთითებს.

ამდენად, საყურადღებოა, რომ განვლილი პერიოდში შშმ პირთა ჯანმრთელობის უფლების რეალიზებისა და სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით მრავალი პრობლემა გა-

<sup>75</sup> იქვე.

<sup>76</sup> იქვე.

<sup>77</sup> იქვე; კოალიცია „მოძრაობა ცვლილებებისთვის“ საგანგებო განცხადება, 09.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2Wmpuve>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>78</sup> ნინო თარხნიშვილი, „როგორ მკურნალობენ კოვიდპაციენტებს, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ“, „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდი, 10.06.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33OEXbB>, განახლებულია: 10.02.2021; კოალიცია „მოძრაობა ცვლილებებისთვის“ საგანგებო განცხადება, 09.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2Wmpuve>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>79</sup> საზოგადოებრივი ორგანიზაციების წერილი საქართველოს პრემიერმინისტრსა და ჯანდაცვის მინისტრს, 16.10.2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3reUZEY>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>80</sup> „PHR შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სპეციალური ცხელი ხაზის ამოქმედებას ითხოვს COVID-19-თან დაკავშირებით“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ვებგვერდი, 21.11.2020. ხელმისაწვდომია: <https://www.phr.ge/publication/news/148?lang=geo>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>81</sup> „რა კეთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერისთვის“, საქართველოს მთავრობის ვებგვერდი, 03.12.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/2LcaJcr>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>82</sup> იქვე.

<sup>83</sup> „რა პრობლემა ექმნებათ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს“, პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - PHR, 28.01.2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3csmczM>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>84</sup> იქვე.

მოიკვეთა. შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი რეაგირება არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად.

## საკვებით, მედიკამენტებითა და დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფა

ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი დამოკიდებულია იმ მომსახურებებზე, რომლებიც შეჩერებულია. იმავდროულად, შეიძლება მათ არ ჰქონდეთ საკმარისი თანხა, რომ მოიმარაგონ საკვები და წამლები, გადაიხადონ დამატებითი საფასური პროდუქტების სახლში მისატანად.<sup>85</sup> აქედან გამომდინარე, საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფოთა ვალდებულებაა პანდემიის დროს მომეტებული საჭიროებების მქონე შშმ პირებისთვის პირველადი საკვებისა და არასაკვები ნივთების,<sup>86</sup> აუცილებელი მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფა,<sup>87</sup> აგრეთვე, სასურსათო ობიექტებსა და სხვა აუცილებელ მაღაზიებში ისეთი სამუშაო საათების დაწესება, რომ შესყიდვის უპირატესობა ჰქონდეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს „კომენდანტის საათის“ ან მსგავსი ტიპის ღონისძიებების შემოღებისას.<sup>88</sup> მაგალითად, ასეთი მიდგომა ჰქონდა პანამას, სადაც მაღაზიებში დაწესებული იყო სპეციალური პრიორიტეტული სამუშაო საათები შშმ პირებისა და მათი დამხმარეებისთვის.<sup>89</sup>

საქართველოში, მთავრობის ანგარიშის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის დროს სპეციფიკური მედიკამენტების პროგრამებით მოსარგებლე ბენეფიციარებს (მათ შორის, ინსულინდამოკიდებულ პირებს), ასევე, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 70 წელს გადაცილებულ და შშმ პირებს ბინაზე მიეწოდებოდათ საჭირო მედიკამენტი (მათ შორის, ინსულინი).<sup>90</sup> მიუხედავად ამისა, რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელი მედიკამენტების მიღების კუთხით ისინი ან/და მათი ბენეფიციარები გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ:

*„საგანგებო მდგომარეობის დროს, როდესაც რამდენიმე ქალაქი ჩაკეტილი იყო, ჩვენი ერთ-ერთი ბენეფიციარი, რომელსაც აუცილებელი მედიკამენტები და საკვები ესაჭიროებოდა, სხვა ქალაქში იმყოფებოდა. მხოლოდ ერთხელ მოვიპოვეთ ნებართვა მისთვის საკვებისა და მედიკამენტების მისაწოდებლად. მეორედ მოთხოვნა აღარ დაგვიკმაყოფილეს და ბენეფიციარი აუცილებელი წამლების გარეშე დარჩა“ - დღის ცენტრის წარმომადგენელი.*

*„შშმ პირმა სახელმწიფოს თხოვნით მიმართა, რომ გაავანტულო სკლეროზის სამკურნალოდ საჭირო მედიკამენტების დაფინანსების მიზნით, ძველი სამედიცინო დოკუმენტაციის წარდგენის ნება მიეცათ, ვინაიდან ახლის ასაღებად აუცილებელი იყო კლინიკაში მისვლა, რასაც ის, დაწესებული შეზღუდვების გამო, ფიზიკურად ვერ ახერხებდა. აღნიშნულზე მან უარი მიიღო და დარჩა აუცილებელი წამლების გარეშე“ - შშმ პირი.*

*„რამდენიმე შშმ პირისგან მივიღეთ ინფორმაცია, რომ მედიკამენტებს ვერ იღებდნენ. მივმართეთ მთავრობას და ადამიანის უფლებათა საბჭოს, თუმცა სახელმწიფოს მზაობა იყო საკმაოდ დაბალი. ამ პრობლემასთან დაკავშირებით პასუხი დღემდე არ მიგვიღია“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

რაც შეეხება საკვებით უზრუნველყოფას, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოქმედ დღის ცენტრებში ბენეფიციარებს საკვები პროდუქტების შესაძენად 80 ლარის ღირებულების ვაუჩერები გადაეცათ.<sup>91</sup> აგრეთვე, თბილისის მუ-

<sup>85</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>86</sup> WHO, Disability Considerations During the Covid-19 Outbreak, 7; OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 5.

<sup>87</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 2.

<sup>88</sup> იქვე, იხ. 4.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 35.

<sup>91</sup> „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ 2200-მდე ბენეფიციარს საკვები პროდუქტების შესაძენად ვაუჩერები გადასცა“, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის

ნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში მოქმედებდა კრიზისულ ვითარებაში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელსაც მერია და გამგეობები ერთობლივად ახორციელებდნენ იმ შემოწირულობებიდან, რომლებსაც ჰუმანიტარული დახმარების სახით იღებენ.<sup>92</sup> შედეგად, ისინი დაეხმარნენ და პროდუქტები მიუტანეს რამდენიმე ასულ ოჯახს, რომელთა შორის შშმ პირებიც იყვნენ.<sup>93</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი გამოცდილებისა, საკვებით უზრუნველყოფის კუთხითაც გამოიკვეთა პრობლემები. შშმ ბავშვის მშობლის განცხადებით, ფენიოლკეტონურიის მქონე ყველა ბავშვს არ მიეწოდებოდა მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვები დანამატები.<sup>94</sup> აგრეთვე, რამდენიმე რესპონდენტის ბენეფიციარებს და რესპონდენტ შშმ პირს არ მიუღიათ დახმარება საკვებითა და ჰიგიენური საშუალებების სახით. მეტიც, მსგავსი პროგრამების შესახებ მათ ინფორმაციაც არ ჰქონდათ.

## ფინანსური მხარდაჭერა

პანდემიის შედეგად ფინანსური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა საზოგადოების უმეტესობა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი ოჯახის წევრები. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საერთაშორისო რეკომენდაციები ითვალისწინებს ამ ასპექტსაც.

შშმ პირების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, უპირველესად, მოიცავს შეღავათებისა და ბენეფიტების გაზრდას,<sup>95</sup> ასეთი შეღავათების ვადების ავტომატურ გაგრძელებას,<sup>96</sup> ასევე, შემოსავლის არმქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას (მაგალითად, ერთჯერადი ფინანსური დახმარების, საგადასახადო შეღავათების, საქონლის სუბსიდირების მეშვეობით ან სხვა სახით).<sup>97</sup> გარდა ამისა, საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფოებმა ფინანსური კომპენსაცია უნდა გადაუხადონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ოჯახის წევრებსაც, თუ პანდემიის პირობებში მათ უწევთ სამსახურიდან უხელოვანობის შვებულების აღება ან სამსახურის დატოვება, რათა ამ პირებზე იზრუნონ.<sup>98</sup> აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოთა სოციალურ-ეკონომიკური რეაგირების გეგმებში პრიორიტეტულად განისაზღვროს შშმ პირების ინტერესები.<sup>99</sup>

აღსანიშნავია ბუღარეთის, მალტისა და ლიეტუვის გამოცდილება. მათ გაზარდეს სოციალური დაცვის სისტემების ბიუჯეტი, რათა გაეფართოებინათ სოციალური დახმარების სერვისები და დახმარებოდნენ მეტ ბენეფიციარს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.<sup>100</sup> არგენტინაში შშმ პირების მიმართ გაიცა ერთჯერადი დახმარება 3000\$-ის ოდენობით.<sup>101</sup> აშშ-ში შემუშავდა საგადასახადო შეღავათების პროგრამა, რომლითაც სარგებლობა შეუძლიათ როგორც, უშუალოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ისე მათი ოჯახების წევრებსაც.<sup>102</sup>

---

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ვებგვერდი, 27.04.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37IHvQz>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>92</sup> „ონლაინკონფერენცია - შშმ პირთა მიზნობრივი პროგრამები პანდემიის პირობებში“, სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2:0044-2:01:12, 15.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37kNntt>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>93</sup> იქვე, იხ. 2:01:13-2:01:35.

<sup>94</sup> იქვე, იხ. 37:00-37:28.

<sup>95</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 5.

<sup>96</sup> WHO, Disability Considerations During the Covid-19 Outbreak, 5.

<sup>97</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 5. Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>98</sup> WHO, Disability Considerations During the Covid-19 Outbreak, 5.

<sup>99</sup> UN, Policy Brief: A Disability-Inclusive Response to Covid-19, 16.

<sup>100</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 5.

<sup>101</sup> „Extraordinary Bonus for People with Disabilities Who Receive Non-Contributory Pensions“, National Agency for Disability of Argentina, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31yfceM>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>102</sup> „Tax Help for People with Disabilities“, Benefits.gov. ხელმისაწვდომია: <https://www.benefits.gov/benefit/945>, განახლებულია: 10.02.2021.

საქართველოში ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თეა გვარამაძის განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის პერიოდში არ შეჩერებულა პენსიის, კომპენსაციის, სოციალური პაკეტის ან რამე სხვა ტიპის ბენეფიტის გაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა შეჩერების საფუძვლები.<sup>103</sup> გარდა ამისა, იმ პირებისთვის, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის გადამოწმების დრო მოდიოდა და შესაბამის დაწესებულებაში მისვლა უწყვედათ, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის არსებულ ამონაწერს იურიდიული ძალა შეუნარჩუნდა.<sup>104</sup> გამარტივდა მიზნობრივი სოციალური პროგრამის ადმინისტრირებაც, რომლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ჯგუფში შშმ პირები არიან გათვალისწინებულნი.<sup>105</sup> შეწყვეტილი მიზნობრივი სოციალური გასაცემლები აღდგა, ხოლო ახლის დანიშვნა გამარტივდა.<sup>106</sup> შედეგად, ისინი მეტი რაოდენობით გაიცა.<sup>107</sup> აგრეთვე, 2020 წლის ივლისში 30 ლარით გაიზარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სოციალური პაკეტის ოდენობა.<sup>108</sup>

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპით გათვალისწინებული იყო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და შშმ ბავშვების მიმართ ჯამში 600 ლარის ოდენობის პირდაპირი ფინანსური დახმარება.<sup>109</sup> საყურადღებოა, რომ მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შშმ პირები, ასევე, დაუნის სინდრომისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების ნაწილი, რომლებსაც, შეფასების მოქმედი მოდელის ხარვეზიანობის გამო, არ აქვთ განსაზღვრული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსი, დახმარების გარეშე დარჩნენ.<sup>110</sup> მსგავსი სოციალური პოლიტიკა შშმ პირებთან მიმართებით უარყოფითად შეაფასეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მათ შორის საიამ, ასევე, სახალხო დამცველმა და მთავრობას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდეს.<sup>111</sup> მიუხედავად ამისა, ანტიკრიზისული გეგმის მე-4 ეტაპისთვის სახელმწიფოს მხრიდან მიდგომა არ შეცვლილა<sup>112</sup> და ზემოხსენებული პირები კვლავ დახმარების გარეშე რჩებიან. საყურადღებოა, რომ სახელმწიფომ ისინი არ გაითვალისწინა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტშიც, რომლითაც გაიზარდა ასაკობრივი პენსია.<sup>113</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით შშმ პირებმა და ორგანიზაციებმა მთავრობას წერილით მიმართეს და სოციალური პაკეტის გაზრდისკენ მოუწოდეს.<sup>114</sup>

<sup>103</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი“, 2.

<sup>104</sup> იქვე.

<sup>105</sup> იქვე, იხ. 3.

<sup>106</sup> იქვე.

<sup>107</sup> იქვე.

<sup>108</sup> საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 ივნისის №381 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>109</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 29.

<sup>110</sup> „სახალხო დამცველის მოსაზრებით ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმაში შშმ პირთა საჭიროებები სათანადოდ არ არის გათვალისწინებული“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 05.05.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/34iieoq>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>111</sup> იქვე; „შშმ პირები და ორგანიზაციები მთავრობას ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებენ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 14.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/38aQ3sM>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>112</sup> მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მე-4 ეტაპი - მოქალაქეების და კერძო სექტორის მხარდაჭერის ახალი პაკეტი. ხელმისაწვდომია: <https://stopcov.ge/ka/daxmarebebi>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>113</sup> „შშმ პირები და ორგანიზაციები მთავრობას სოციალური პაკეტის გაზრდისკენ მოუწოდებენ“, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის ვებგვერდი, 28.01.2021. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3oGs7Um>. ასევე, იხ. „შშმ პირები მთავრობისგან სოციალური პაკეტის გაზრდას ითხოვენ“, 28.01.2021. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/514847/>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>114</sup> იქვე.



## განათლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით გარანტირებულია მათი განათლების უფლება.<sup>115</sup> ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზებისთვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების ხელმისაწვდომობას.<sup>116</sup>

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დისტანციური სწავლების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარი წვდომა. ამისთვის კი აუცილებელია ინტერნეტის, სპეციალური კომპიუტერული პროგრამების, ადაპტირებული საგანმანათლებლო და აუდიოვიზუალური მასალების ხელმისაწვდომობის გარანტირება და სხვადასხვა საშუალებით მათი გავრცელება (ინტერნეტი, სატელევიზიო საგანმანათლებლო პროგრამები და სხვა).<sup>117</sup> გარდა ამისა, სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ მასწავლებლების გადამზადება დისტანციური სწავლებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხარდაჭერისთვის.<sup>118</sup>

საინტერესოა ამ კუთხით სხვა ქვეყნების გამოცდილებაც. ხორვატიაში განათლების სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაცია პედაგოგიური პერსონალის მიმართ, რათა მათ ონლაინგაკვეთილები შშმ ბავშვებისთვის ადაპტირებული ფორმატით ჩატარონ.<sup>119</sup> ფინეთმა, სამხრეთ აფრიკამ და გაერთიანებულმა სამეფომ covid-19-ის საპასუხო ღონისძიებებში გაითვალისწინეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები/მოსწავლეები.<sup>120</sup> განსაკუთრებით საგულისხმოა აშშ-ის მაგალითი, სადაც მოქმედებს ფედერალური კანონი (Individuals with Disabilities Education Act (IDEA)), რომლითაც უზრუნველყოფილია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა.<sup>121</sup> აშშ-ის განათლების სამინისტრომ შეიმუშავა სახელმძღვანელო დოკუმენტი სასწავლო დაწესებულებებისთვის COVID-19-ის კრიზისის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განათლებისა და სასწავლო რესურსების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.<sup>122</sup> მასში მითითებულია, რომ პანდემიის პირობებში აუცილებელია ყველა მოსწავლის, მათ შორის შშმ ბავშვების, სასწავლო მასალებით აღჭურვა.<sup>123</sup> ხოლო იმისათვის, რომ მასწავლებელმა ზემოაღნიშნული კანონით (IDEA) დაკისრებული მოვალეობები სათანადოდ შეასრულოს, შეუძლია, მიმართოს სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად, თუ კონკრეტული სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი არ არის უსინათლო მოსწავლისთვის, მას ის ტელეფონით წაუკითხოს ან აუდიოვერსია გაუგზავნოს.<sup>124</sup>

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში, 30 მარტიდან, დაიწყო საგანმანათლებლო პროექტი „ტელესკოლა“.<sup>125</sup> პროექტი ითვალისწინებს სკოლის მოსწავლეებისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სტანდარტისა და პროგრამის მიხედვით ტელეგაკვეთილების ჩატარებას.<sup>126</sup> საყურადღებოა, რომ ყველა გაკვეთილს თან ახლავს

<sup>115</sup> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლი.

<sup>116</sup> იქვე.

<sup>117</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 6.

<sup>118</sup> UNICEF, Covid-19 Response: Considerations for Children and Adults with Disabilities, 3.

<sup>119</sup> „How Countries are Using Edtech (Including Online Learning, Radio, Television, Texting) to Support Access to Remote Learning During the COVID-19 Pandemic“, The World Bank, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gylf6h>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>120</sup> Hannah Alasutari, „Tackling Inequity in Education During and After COVID-19“, World Bank Blogs, 20 April 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3gsQD7i>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>121</sup> „Supporting Students with Disabilities during the Covid-19 Pandemic“, Share My Lesson, 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/31vTSqd>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>122</sup> United States Department of Education, Supplemental Fact Sheet Addressing the Risk of COVID-19 in Preschool, Elementary and Secondary Schools While Serving Children with Disabilities, 21 March 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2EJX0pp>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>123</sup> იქვე, იხ. 2.

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 31.

<sup>126</sup> იქვე.

ქესტების ენაზე თარგმანი.<sup>127</sup> ასევე, შშმ ბავშვთა მშობლების მხარდაჭერის მიზნით, განათლების სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის თანამშრომლობით, დაიწყო ყოველკვირეული გადაცემა „მშობლის საათი“, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა მშობლებს უზიარებს პრაქტიკულ რჩევებს პანდემიასთან გასამკლავებლად.<sup>128</sup> სმენადაქვეითებული მოქალაქეებისთვის გადაცემას ახლავს ქესტების ენაზე თარგმანიც.<sup>129</sup> გარდა ამისა, „ტელესკოლის“ ფარგლებში მიმდინარეობს ქესტების ენის შემსწავლელი გაკვეთილები, რომლებიც განკუთვნილია არა მხოლოდ სმენის სრული და ნაწილობრივი დარღვევის მქონე პირებისთვის, არამედ ყველასთვის, ვისაც სურვილი აქვს, ხელი შეუწყოს ამ პირების საზოგადოებაში ადაპტაციასა და თანასწორუფლებიანობას.<sup>130</sup>

მიუხედავად სახელმწიფოს ძალისხმევისა, შშმ პირთა განათლების უფლების რეალიზების კუთხით გარკვეული პრობლემები გამოვლინდა. სასკოლო პროგრამების დისტანციური სწავლების პროცესში სრულად არ მოხდა ყველა პირის საჭიროების გათვალისწინება.<sup>131</sup> აგრეთვე, გამოწვევას წარმოადგენდა ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში შშმ და სსსმ მოსწავლეების ჯეროვანი ჩართვა.<sup>132</sup> დაბრკოლებები ამ მიმართულებით განსაკუთრებული სიმწვავეთ ხასიათდებოდა ქცევის სირთულისა და სენსორული შეზღუდვის მქონე ბავშვების შემთხვევაში.<sup>133</sup> სირთულეები გამოიკვეთა დისტანციური საგანმანათლებლო პროცესის მისაწვდომი ფორმატით წარმართვისა და შესაბამისი ადამიანური რესურსების დროული და ეფექტიანი მობილიზების თვალსაზრისითაც.<sup>134</sup> მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, გამოწვევა იყო საკომუნიკაციო საშუალებებსა და ინტერნეტზე მისაწვდომობის კუთხით არსებული ბარიერები.<sup>135</sup> მოსწავლეების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვები საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიღმა დარჩნენ.<sup>136</sup> ამასთან, ინკლუზიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართული უსინათლო პირები აღმოჩნდნენ არსებული სასწავლო პლატფორმის (Microsoft teams) დამოუკიდებლად გამოყენების პრობლემის წინაშე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი განათლების საფეხურზე.<sup>137</sup> ამ საკითხზე იმსჯელა რესპონდენტების უმრავლესობამაც:

*„ზოგ ბენეფიციარს საერთოდ არ აქვს ტექნიკური მოწყობილობები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახში მხოლოდ ერთი კომპიუტერია და მშობლები უპირატესობას ტიპური განვითარების ბავშვებს ანიჭებენ. შესაბამისად, შშმ ბავშვები რჩებიან გაკვეთილების გარეშე. ამის თაობაზე ინფორმაცია მივაწოდეთ მთავრობას და დავაყენეთ საკითხი, რომ ასეთ შშმ ბავშვებს ტექნიკური მოწყობილობებით დახმარებოდნენ, თუმცა უუკავშირი დღემდე არ არის. ასევე, მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, მრავლობითი დარღვევის მქონე ბავშვებისთვის შინ სწავლების შეწყვეტა. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ „ტელესკოლა“ ორიენტირებულია ტიპური განვითარების მოსწავლეზე და არ არის შშმ ბავშვების უმეტესობისთვის ადაპტირებული. გამოწვევაა საკმარისი ელექტრონული მასალების არარსებობაც“ - დღის ცენტრის წარმომადგენელი, შშმ პირის მშობელი.*

<sup>127</sup> „ტელესკოლა“, პირველი არხის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3gTZ5hl>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>128</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 30.

<sup>129</sup> იქვე, იხ. 31.

<sup>130</sup> „ქართული ქესტური ენის გაკვეთილები“, ტელესკოლა, პირველი არხის ვებგვერდი. ხელმისაწვდომია: <https://1tvtv.ge/show/qartuli-djesturi-enis-gakvetilebi/>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>131</sup> „საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება აუტიზმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 02.04.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3qyDU9j>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>132</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე პანდემიის პირობებში“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 14.06.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3lXq6Bz>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>133</sup> იქვე.

<sup>134</sup> იქვე.

<sup>135</sup> იქვე. „ყველა შშმ პირის ოჯახს ინტერნეტთან წვდომა არ აქვს“, „შშმ პირები პანდემიის პირისპირ და დისტანციური სწავლება“, „მეცხრე არხი“, ახალციხე, 21.11.2020. ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=R3esDl0xvdo>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>136</sup> „სახლისკენ - შშმ ბავშვები და პანდემია“, პირველი არხის ვებგვერდი, 04:18-04:28, 04.11.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/39FZtyw>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>137</sup> „თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღე“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 15.10.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3rhOYaf>, განახლებულია: 10.02.2021.

„ყველას არ შეუძლია დისტანციური სერვისებით სარგებლობა ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო“ - დღის ცენტრის წარმომადგენელი.

„ბევრ შშმ ბავშვს გაუჭირდა მონიტორინგის წინ დაჯდომა და ონლაინფორმატის გაკვეთილებზე დასწრება“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

შესაბამისად, აუცილებელია არსებული სერვისების მოდიფიცირება და შშმ ბავშვების საჭიროებების გათვალისწინება მათი განათლების უფლების სათანადოდ რეალიზებისთვის.

## ზრთოთი ურთიერთობები

საერთაშორისო რეკომენდაციების თანახმად, შშმ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, იმუშაონ სახლიდან, ან ანაზღაურებად შვებულებაში გავიდნენ, რათა გარანტირებული იყოს მათი შემოსავალი.<sup>138</sup> გარდა ამისა, კონტაქტების შემცირების მიზნით, არსებითია, რომ გონივრული მისადაგების პრინციპის ფარგლებში, დისტანციური მუშაობის შესაძლებლობა მიეცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ოჯახის წევრს ან მის მზრუნველს.<sup>139</sup> აგრეთვე, თვითდასაქმებულ შშმ პირებს უნდა მიეცეთ ფინანსური კომპენსაცია, თუ მათი შემოსავალი შემცირდა პანდემიის შედეგად.<sup>140</sup> რეკომენდაციები ასევე ითვალისწინებს შშმ პირთა დამსაქმებლების ფინანსურ დახმარებასაც, მათ შორის, საგადასახადო შეღავათის სახით, რათა უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირების აღჭურვა იმ ტექნოლოგიებით, რომლებიც აუცილებელია დისტანციურად მუშაობისთვის.<sup>141</sup>

საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, პირები, რომლებმაც კრიზისის დროს დაკარგეს სამსახური ან გაუშვეს უხელფასო შვებულებაში, კომპენსაციის სახით მიიღებენ 1200 ლარს 6 თვეში - თვეში 200 ლარს.<sup>142</sup> თვითდასაქმების შემთხვევაში, მხარდაჭერის რაოდენობა განისაზღვრა 300 ლარით და მას ერთჯერადი ხასიათი აქვს.<sup>143</sup> ნიშანდობლივია, რომ ეს პროგრამა არის ზოგადი ხასიათის და ვრცელდება ნებისმიერ პირზე, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონეზეც, თუ ხსენებულ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. სხვა სპეციალიზებული მხარდაჭერა შშმ პირების მიმართ სახელმწიფოს არ განუხორციელებია.

## შშმ პირები სხვადასხვა დაწესებულებაში

გაეროს ექსპერტის განცხადებით, Covid-19-ის კრიზისის პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებში (მაგალითად, როგორცაა თავშესაფარი, ფსიქიატრიული დაწესებულება) მყოფი შშმ პირები, ვინაიდან ისინი მომეტებული რისკის წინაშე არიან.<sup>144</sup>

პირველ რიგში, რეკომენდირებულია დროებითი დაწესებულებების ადამიანური თუ ფინანსური რესურსების გაზრდა პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.<sup>145</sup> ასევე, ერთ-ერთი გამოსავალი შეიძლება იყოს ამგვარი დაწესებულებებიდან შშმ პირების სახლში გაშვება და მათი მხარდაჭერი სერვისის მიმწოდებლების დაფინანსება.<sup>146</sup> მაგალითად, სწორედ ასეთი მიდგომა ჰქონდათ შვეიცარიასა და ესპანეთში, სადაც შშმ პირები საცხოვრებლად თავიანთ ოჯახებში დაბრუნდნენ.<sup>147</sup>

<sup>138</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>139</sup> UNPRPD, Disability Inclusive Social Protection Response to Covid-19 Crisis, 1.

<sup>140</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 5.

<sup>141</sup> იქვე.

<sup>142</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 29.

<sup>143</sup> იქვე.

<sup>144</sup> Claudia Sulewski, „Covid-19: Who is Protecting the People with Disabilities?“, OHCHR, 17 March 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b3an0a>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>145</sup> OHCHR, Covid-19 and the Rights of Persons with Disabilities: Guidance, 3.

<sup>146</sup> იქვე.

<sup>147</sup> იქვე.

საქართველოს მთავრობის ანგარიშის თანახმად, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტომ კრიზისის დაწყებისთანავე განახორციელა ქვეყანაში არსებული 3 დიდი ზომის ინსტიტუციის სერვისების მოდელის რესტრუქტურისაცა. <sup>148</sup> სერვისების ნაწილის მიწოდება გადავიდა დისტანციურ რეჟიმზე. <sup>149</sup> გარდა ამისა, ბენეფიციართა დაცვის მიზნით, დაწესდა პერსონალის გრძელვადიანი (არანაკლებ 7 და არაუმეტეს 14 კალენდარული დღის ვადით) მორიგობა, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო თავშესაფრებში გარეშე პირთა შესვლა. <sup>150</sup> აგრეთვე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ხელმძღვანელის მერი მაღლაფერიძის თქმით, დაწესებულებების გარეთ მყოფ ადამიანებთან კონტაქტის მაქსიმალურად შენარჩუნების მიზნით, ბენეფიციარების უმრავლესობა აღჭურვილია ტელეფონით, ასევე, ხელმისაწვდომია ინტერნეტი. <sup>151</sup>

საგულისხმოა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით შემუშავდა სახელმძღვანელოებისა და პროტოკოლების ნაკრები „ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი)“. <sup>152</sup> პროტოკოლი მოიცავს როგორც ფსიქიკური ჯანდაცვის სტაციონარულ, ისე სტაციონარს გარეთ არსებულ სერვისებში COVID-19-ის პირობებში პაციენტების უსაფრთხო მართვის სახელმწიფო სტანდარტებს. <sup>153</sup>

გარდა ამისა, გამოიცა „რეკომენდაციები სახელმწიფო ზრუნვის 24-საათიან დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“. <sup>154</sup> რეკომენდაციები ითვალისწინებს ინსტიტუციების ხელის ჰიგიენის გამართულად ფუნქციონირებადი საშუალებებითა (ნიჟარა, წყალმომარაგება, თხევადი საპონი, ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცები) და ალკოჰოლშემცველი ხელის ანტისეპტიკური ხსნარით უზრუნველყოფას, <sup>155</sup> აგრეთვე, შშმ პირებისთვის საჭირო ინვენტარის ჩამონათვალს, რომლებიც ექვემდებარება დასუფთავება-დეზინფექციას. <sup>156</sup>

გამოიცა დროებითი რეკომენდაცია ხანგრძლივი ზრუნვის საცხოვრისებში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული საპასუხო ქმედებების თაობაზე. <sup>157</sup> ამ დოკუმენტის თანახმად, შესაძლებელია ფსიქიატრიულ დაწესებულებათა იმ ბენეფიციარების გაწერა, რომელთა მხარდაჭერაც შესაძლებელია თემში. <sup>158</sup> აგრეთვე, შეიზღუდა ახალი ბენეფიციარების მიღება <sup>159</sup> და განისაზღვრა, რომ მათი მომსახურება უნდა განხორციელდეს ბინაზე (კრიზისული ინტერვენციის ან მობილური გუნდების დახმარებით), ან უნდა გამოიყოს ალტერნატიული ადგილები, რათა შემცირდეს დაწესებულებაში ინფექციის შესაძლო

<sup>148</sup> საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვა Covid-19-ით გამოწვეული კრიზისის დროს, 25.

<sup>149</sup> იქვე.

<sup>150</sup> იქვე, იხ. 28.

<sup>151</sup> „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი“, 4. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JZmpOt>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>152</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით, ფსიქიკური ჯანმრთელობა და COVID-19: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), 2020. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2UwAaH6>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>153</sup> იქვე.

<sup>154</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის „რეკომენდაციები სახელმწიფო ზრუნვის 24-საათიან დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით“. ხელმისაწვდომია: [https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti\\_N20\\_Rekomendaciebi.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N20_Rekomendaciebi.pdf), განახლებულია: 10.02.2021.

<sup>155</sup> იქვე.

<sup>156</sup> იქვე.

<sup>157</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებული მზაობა და საპასუხო ქმედებები ხანგრძლივი ზრუნვის საცხოვრისებში (დროებითი რეკომენდაცია)“. ხელმისაწვდომია: [https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti\\_N25\\_Rekomendaciebi.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N25_Rekomendaciebi.pdf), განახლებულია: 10.02.2021.

<sup>158</sup> იქვე.

<sup>159</sup> იქვე.

შეტანა და, ამასთან, არ გადაიტვირთოს.<sup>160</sup> რეკომენდაციებით გათვალისწინებულია ეპიდეფეთქების პერიოდში და იზოლაციაში ყოფნის დროს ბენეფიციართა პრაქტიკული და ემოციური მხარდაჭერა ოჯახებისა და ჯანდაცვის მუშაკებისგან;<sup>161</sup> ასევე, ბენეფიციარებისთვის, თანამშრომლებისა და პერსონალისთვის COVID-19-ის შესახებ რეგულარულად განახლებული ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა;<sup>162</sup> ბენეფიციარებისთვის დამატებითი ელექტრონული საშუალებების მობილიზება, საჭიროების შემთხვევაში, სწავლება და ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფა.<sup>163</sup>

ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციებით,<sup>164</sup> სხვა საკითხებთან ერთად, დამატებით განისაზღვრა ბინაზე ვიზიტის განმანორციელებელი მედპერსონალის შესაბამისი ეკიპირებით (ვიზიტორის ხალათი, პირბადე, ქუდი და ხელთათმანი) უზრუნველყოფის აუცილებლობა.<sup>165</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს ჩამოთვლილი ღონისძიებები და შემუშავებული დოკუმენტები, თუმცა, უნდა აღინიშნოს პრობლემური მიმართულებებიც. გამოწვევაა რეკომენდაციების პრაქტიკაში განხორციელება. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში ჩატარებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ მეტი ძალისხმევაა საჭირო ადგილზე პირთა მიმოსვლის, დამცავი საშუალებების გამოყენებისა და დადგენილი წესების კონტროლის კუთხით.<sup>166</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია ინსტიტუციებში მცხოვრებ პირთა უწყვეტი ინფორმირება და კონსულტირება ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო რისკების და პრევენციული ღონისძიებების თაობაზე, მათთვის მისაწვდომი ფორმით.<sup>167</sup> განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ბათუმში ხანდაზმულთა პანსიონატში კორონავირუსის შემთხვევები დადასტურდა, რაც მიუთითებს ამ და სხვა დაწესებულებებში პრევენციის, კონტროლის და მონიტორინგის ღონისძიებების გაძლიერების აუცილებლობაზე.<sup>168</sup>

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს რესპონდენტებმაც:

*„პრობლემურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ახალი პაციენტების მიღების ბლანკეტური შეზღუდვა, რადგან აუცილებელი მომსახურებისა და მედიკამენტების გარეშე რჩებიან მწვავე პრობლემების მქონე ბენეფიციარები. საყურადღებოა, რომ სტაციონარი ისეა მოწყობილი, შეუძლებელია იზოლაცია ინფიცირების თაობაზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში. აბაზანები, სველი წერტილები საერთოა. პაციენტებს არ აქვთ პირადი საპონი. არ გამოიყენება ნიღბები. პალატებში რამდენიმე ადამიანი ერთად არის მოთავსებული. ზოგიერთ პალატას არ აქვს კარი. დაწესებულებების ჩაკეტვის გამო, პაციენტებს უზღუდვით ნათესავებთან კონტაქტი, თუმცა მათ კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებას არ სთავაზობენ. მათ ასევე არ აქვთ კომპიუტერები და ტელეფონები. მუზღუდულია ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ღონისძიებები, მათ შორის, ხშირ შემთხვევაში, გასეირნების უფლება. სახელმწიფო არ ზრუნავდა კრიზისული და მობილური ჯგუფების დამცავი საშუალებებით უზრუნველყოფაზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ფსიქიატრიული სერვისის მიწოდებისას მომეტებულია ინფიცირების რისკი, ეს ჯგუფი შესაბამისი დამცავი საშუალებებით არ იყო აღჭურვილი“ - შშმ თემის ინტერესების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელი.*

<sup>160</sup> იქვე.

<sup>161</sup> იქვე.

<sup>162</sup> იქვე.

<sup>163</sup> იქვე.

<sup>164</sup> საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის „რეკომენდაციები ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებისთვის ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს“. ხელმისაწვდომია: [https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti\\_N21\\_Rekomendaciebi.pdf](https://www.moh.gov.ge/uploads/files/2020/Failebi/Danarti_N21_Rekomendaciebi.pdf), განახლებულია: 10.02.2021.

<sup>165</sup> იქვე.

<sup>166</sup> „სახალხო დამცველის განცხადება ახალი კორონავირუსის პანდემიის პირობებში პრევენციული ღონისძიებების შესახებ“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 15.09.2020. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/37qthOu>, განახლებულია: 10.02.2021.

<sup>167</sup> იქვე.

<sup>168</sup> იქვე.

შესაბამისად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ძალისხმევა, რათა გათვალისწინებული იყოს დაწესებულებებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინტერესები.

## დასკვნა

ნათელია, რომ პანდემიის პირობებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არსებითი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. მართალია, მათი უფლებების რეალიზების მიზნით სახელმწიფომ გარკვეული ზომები გაატარა, თუმცა რეაგირება არ აღმოჩნდა საკმარისად ეფექტიანი. პრობლემად რჩება შშმ პირებისთვის Covid-19-თან დაკავშირებული ხარისხიანი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფა, ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი ხელმისაწვდომი სტანდარტებით სარგებლობის უფლების სათანადო რეალიზება, დაწესებულებებში მცხოვრები შშმ პირების მდგომარეობა; არ ხდება მათთან და მათ უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობა, კონსულტირება და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; დიდი ნაწილისთვის არ არის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერა; შშმ ბავშვები განათლების მიღების კუთხით არაერთ დაბრკოლებას აწყდებიან; საგულისხმოა, რომ ყველა ეს საკითხი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგან პანდემია კვლავ აქტიურ ფაზაშია. მეტიც, სავარაუდოა, რომ ამგვარი ვითარება გარკვეული დროით გაგრძელდება.

ამდენად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილების გაანალიზება, საერთაშორისო რეკომენდაციების მხედველობაში მიღება, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებებით Covid-19-ის შედეგად გამოწვეულ დაბრკოლებებთან ეფექტიანი გამკლავება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სათანადოდ დაცვა.

## რეკომენდაციები:

- სახელმწიფომ მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოს ყველა შშმ პირი პანდემიასთან დაკავშირებული უახლესი ინფორმაციით, მათთვის მისაწვდომი ფორმით;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს პანდემიის პირობებში შშმ პირთა მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი მათი საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით;
- მთავრობამ აქტიურად ითანამშრომლოს შშმ პირებსა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, რათა გაიზარდოს კონსულტირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ეფექტიანობა;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის სათანადო გადამზადება და ცნობიერების ამაღლება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად;
- მოხდეს რესპირატორული გართულებების რისკის წინაშე მყოფი, ასევე, ვირუსის სიმპტომების მქონე შშმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების პრიორიტეტული და პროაქტიული ტესტირება;
- სახელმწიფომ უზრუნველყოს ყველა შშმ პირის ეფექტიანი მხარდაჭერა როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ისე სოციალური უზრუნველყოფის სფეროში;
- საქართველოს მთავრობამ გადახედოს ანტიკრიზისულ ეკონომიკურ გეგმას და მასში გაითვალისწინოს შშმ პირთა მხარდამჭერი ღონისძიებები, მათი სოციალური საჭიროებების შესაბამისად;
- პანდემიის დროს მოხდეს შშმ პირთათვის მედიკამენტების უწყვეტი მიწოდება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივ ანტიკრიზისულ პროგრამებსა და აქტივობებში მაქსიმალურად გაითვალისწინონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯგუფები, მათი ინდივიდუალური მოთხოვნილებების (საკვები, დამცავი საშუალებები, მედიკამენტები და ა.შ.) შესაბამისად;

- სახელმწიფომ მიიღოს აუცილებელი ზომები შშმ და სსსმ მოსწავლეთა დისტანციურ საგანმანათლებლო პროცესში სრულყოფილი ჩართვის მიზნით;
- მოხდეს ტელესკოლის ადაპტირება, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაკვეთილების მისაწვდომობა ყველა საჭიროების შშმ პირისთვის, მათ შორის, იმ ყრუ და სმენის პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის, რომლებმაც ქესტების ენა არ იციან;
- უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირთა 24-საათიანი ზრუნვის დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების მუდმივი და ეფექტიანი კონტროლი;
- ეფექტიანი ზედამხედველობა გაეწიოს პანდემიის პირობებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა მკურნალობის პროტოკოლის შესრულების პროცესს როგორც სტაციონარულ, ისე სტაციონარის გარეთ მომსახურებებში.